

მ ვ ე მ ს ი

უ მ ა ლ ლ ე ს ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ი ს გ ა ნ კ ა რ ზ უ ლ მ ბ ა ნ ი .

თბილისის ვუბერნატორის მიწერილობა, 1 სექტემბერი 1886 წლისა № 3449 მის მაღალ უფროსად უსამღვდელოესოების, არქიმეპისკოპოსის პავლეს, საკათედროის ეპისკოპოსისადმი.

თქვენს მაღალ უფროსად უსამღვდელოესობაზე, მოწყალო მოწყობს-მთავრო!

ბეჭდის საქმის უმთავრესი სამმართველო, ცირკულიარული მოწერილობით 18 ივლისიდან ამა წლისა № 2296, მაცნობებს, რომ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთ გუბერნიებში აღმოჩნდნენ გასასყიდად მიცვალებულთათვის სუდრები (საენი), რომლებზედაც სტაბის შავი საღებავით გამოხატულნი არიან საღმრთო გამოხატულებანი და ნაწერები.


უწმიდესმა სინოდმა, რომლის განსახილველად წარდგენილ იქმნენ რამდენიმე ეგზემპლარი ამა სუდრებისა, ნახა, რომ ეს სუდრები არ ეკუთვნიან რიცხვს იმა საგანთა, რომლებით ვაჭრობა ნება დართულია კანონით (დამატ. სტ. 464 კანონ. კრებ. ტ. 5 წესდ. ბაჟ. გამოც. 1876 წ.), და რომ სუდრების ხმარება, საღმრთო გამოხატულებებით, მიცვალებულთაზე ჩასაცმელად, ნაჩვენები არ არის საეკლესიო კანონებით და წესდებებით, ამიტომ ამ ნივთებით ვაჭრობა არ უნდა იქმნეს ნება დართული.

მოგაწვევებ რა თქვენი მაღალ უსამღვდელოესობის უფროსადმდის უწმიდესის სინოდის ამ გვარ განკარგულებას, თქვენს მხრით შესაფერი განკარგულების მოსახდენად, პატივი მაქვს დავსძინო, რომ ჩემ მიერ ამასთანავე მიწერა თბილისის გუბერნიის მაზრის უმფროსებს და თბილისის პოლიციმეისტარს,

რათა გამორიცხონ ხმარებისაგან სამარხი სუდრები საღმრთო გამოხატულებებით და ნაწერებით, აგრეთვე შექმნილი დროისათვისაც თვალ-ყური ადევნონ, რომ ეს ნივთები არ იყიდებოდნენ.


მივანდობ რა ჩემთვის თქვენ მოწყობს-მთავრულ ლოცვას, პატივი მაქვს დავუთო თქვენი მაღალ უსამღვდელოესობის უმორჩილესი მონა ა. გროსმანი.

ამ მოწერილობაზე მისმა მაღალ უფროსად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეპისკოპოსა, არქიმეპისკოპოსმა პავლემ კეთილ ინება დაწერა შემდეგი რეზოლიუციისა: „1886 წ. 2 სექტემბერს. ღიბეჭდოს ეს მოწერილობა გავით „მოწყობს“-ში რუსულს და შართულს ენაზე. სამღვდელოება ვალდებულია თვალ-ყური ადევნოს, რომ დასაფლავების დროს არ იყოს ხმარებული სუდრები საღმრთო გამოხატულებებით.“



ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ნებართვით, 1882 წელსა მთელს რუსეთის იმპერიაში იყო გამართული ხელის-მოწერა, შესაკრებლად კეთილ-მნებელ შეწირულებათა განახლებისათვის ქრისტიანული ძველი ტაძრისა შარისის ციხეში.

ეს ტაძარი, რომელიც ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში იყო აღმშენებული პანტოლის ბერძენთ მიერ, გადასცოდათანავე შარისის მთარების მფლობელობაში. გადაკეთებულ იქმნა საქალაქო მფითად, ხოლო, როცა ჩვენმა ჯარებმა შარისი აიღეს, ეს ტაძარი ისევ გადაკეთებულ იქმნა ციხის სამხედრო მართლ-მადიდებელ საკრებულო ტაძრად თავარ-ანგელოზის მიხაილის სახელობაზე, სადიდებლად მფარველ ანგელოზისა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე დიდი მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის, პავლასის ძლიერ-





მოსილ ჯართა უავეუსტოესი სარდლისა, რომელთა შემუსრეს ქარსის ს მ ა გ რ ე ნ ი ლამით ნ ნოემბერს, 1877 წელსა.

უავეუსტოესი გენერალ-ფელდ-მარშლის ბრძანებით შეწირულებათა შესაკრებლად და მუშაობის საწარმოებლად სობოროს განახლებისათვის დაწესებულია კომიტეტი ქარსის სამთავროს სამხედრო გუბერნატორის თავს-მჯდომარეობით. მას აქეთ ფულით შეწირულებათა იწყეს დენა ვრცელ რუსეთის ყველა კუთხეებიდგან და იხარჯებოდა კომიტეტისაგან ტაძრის განსამშენებლად, აკადემიკოსთა დ. ი. ბრიმის და ა. დ. ძიგენკოს სავალდებულო დახმარებით, რომელთაგან პირველი ცნობილია, როგორც გამოჩენილი მკოდნე ძველი მიზანტიური სტილისა, ხოლო უკანასკნელი ეკუთვნის ჩვენ ხელოვნების უნიჭიერეს ხელოსანთა რიცხვს.

დღეს შეწირულებანი უკვე მოისპნენ და თუმცა თითქმის ყველა შეკრებილი ფულები დახარჯულია. მაგრამ საკრებულო ტაძრის განახლებას ჯერ ბევრი აკლია; ამისათვის კომიტეტი სთვლის თავის მოვალეობად წარუდგინოს შემწირველთ ანგარიში იმ ფულების დახარჯვისა, რომელიც შემოვიდა მის განკარგულებაში და მასთან განაცხადებს ქარსის სობოროთა ყველა იმ საჭიროებათა, რომელნიც რჩებიან დაუკმაყოფილებელნი საშუალებათა უმეკონელობისა გამო.

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი :

იმ ფულებისაგან, რომელიც ქარსის საინჟინერო სამმართველოში იყო, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის, ძავკასიის ჯარის ყოფილის მთავარ სარდლისაგან მიცემულ იქმნა 4,935 მ. 58 კ.

შემოვიდა შეწირულებანი სხვადასხვა დაწესებულებათა, საზოგადოებათა და პირთაგან 23,894 მ. 89 კ.

შემოვიდა 0/0 სახელმწიფო კრედიტის ბილეთებისაგან, რომელნიც ნასყიდნი იყვნენ შემოწირულ ფულებით, მინამ ამათ დახარჯვას საჭიროება მოითხოვდა 239 მ. 82 კ.

სულ შემოსავალი იყო 29,070 მ. 29 კ.

გ ა ს ა ვ ა ლ ი :

სახელმწიფო საკუთრებათ შესარიცხად კერძო სახლთა, რომელნიც ზედ სობოროსთან მდებარებდნ და ადგილების მოსასწორებლად დაიხარჯა 3,502 მ. 50 კ.

ქანკელის გასაკეთებლად, რომელიც გაკეთებულია სამფროვანი ქვისაგან მიზანტიის სტილზე ჩუქურთმებით, პროექტისა მეტრ აკადემიკოსის დ. ი. ბრიმისა, დაიხარჯა 8,824 მ.

ქანკელის და სამეფო კარების ხატებისათვის და ტრაპეზის დიდი ხატისათვის, რომელიც მოჭრილია აკადემიკოსის ა. დ. ძიგენკოს და რუსის სხვა ხელოსანთაგან, მისი წინადადებით, დაიხარჯა 3,475 მ.

იატაკის გასაკეთებლად მარსელის მრამორისაგან ქვის საფუძველზე დაიხარჯა 2,000 მ.

მიშენება ქვის შესავალი ორი ბჭისა მიზანტიის სტილისა მეტრ, პროექტისა მეტრ აკადემიკოსის დ. ი. ბრიმისა დაიხარჯა 7,000 მ.

ბუხრების გაკეთება, შიგნით შელესვა, სობოროს შეღება, ფანჯრების ჩარჩოები და მინები დაჯდა 1,877 მ. 48 კ.

ტაძრის ფოტოგრაფიული სურათის გადასაღებლად, სობოროს გეგმის გადასაღებლად, ბაჟის ფულებზე პირობათა შეკერის დროს და კანცელარიის ხარჯებად დაიხარჯა ხუთის წლის განმავლობაში 183 მ. 52 კ.

სულ დახარჯულია 26,862 მ. 75 კ.

პირველ ივლისისათვის ამა წლისა დარჩა 2,207 მ. 54 კ.

ქარსის ციხის სობოროს კი დღემდე არა აქვს არც სამრეკლო და არც მოსაწოდებელი ზარები, რომელნიც ასე საჭიროანი არიან ყოველი მართლმადიდებელი ტაძრისათვის, და მით უფრო ერთადერთი ძველი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, რომელსაც გარშემო აკრავს სამლოცველოები სხვა



საბჭოთა კავშირი

და-სხვა საზღოოცველო დასებისა, სხვათა აღმსარებელთა ეკლესიები და მეჩეთები ქ. შარსში. უწაროთ და უსამრეკლოთ, ამ სობოროს მთელ თავის შინაგან მშენებლობასთან არ შეუძლია იმდენი კრძალვა აღძრას, რამდენათაც ეს უსაჭიროესია უმთავრესი აღმსარების სარგებლობისათვის, შესახებ სხვა მერჯულეთა და აქ დასახლებულ რუსების მწვალებელთა.

მიმხედვარე ამისა, ზრუნავს რა ამ წმიდა საქმის— ძველი მართლ-მადიდებელი ტაძრის ღირსეულად დაგვირგინებისათვის, ამ ტაძართან ცალკე სამრეკლოს მიზანტიურს სტილზე აშენებისათვის, შეძენისათვის ყველა საჭირო ზარებისა და სობოროს გარშემო პატარა მედნის გასაკეთებლად, რისთვისაც საჭიროა შესყიდვა მახლობელ კერძო მოსლემანთა სახლებისა, — კომიტეტი შარსის ციხის სობოროს განახლებისა შემდეგ განაგრძობს რა ზრუნვას ყოველი მართლ-მადიდებელი ქრისტიანეთა საგულის-გულო საქმეებზე, მიმართავს თანამემამულეთ მალალ-გრძნობათა და მოიწვევს მათ კეთილ-მნებლობითი შეწირულებისათვის, რომელიც საჭიროა სობოროს ზემოდ მოხსენებულ საჭიროებათათვის და მასთან დარწმუნებულია, რომ მართლ-მადიდებლობის ინტერესები ახლად დაპყრობილ მხარეში, სხვა მერჯულე მცხოვრებლები თურთ, ნახევენ ყოველთვის თანაგრძნობას რუსეთის საზოგადოების ყველა წრეებში.

შეწირულებანი გთხოვთ გამოგზავნოთ შარსის ციხის სობოროს განახლების თავს-მჯდომარის ანუ ამავე ციხის კომენდატის სახელზედ.

ხელი მოაწერეს:

თავს-მჯდომარე კომიტეტისა, სამხედრო გუბერნატორი შარსის სამფლობელოისა და შარსის ციხის კომენდატის თანამდებობის აღმასრულებელი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი ტომიჩი.

წევრი კომიტეტისა: გენერალ-მაიორი ჰეტანდერ, პოლკოვნიკი მიშენკო, პოლკოვნიკი თავ. თუმანკო, კაპიტანი პრიბაფსკი, კაპიტანი შკვადიე-დე-ლია-სეკრ. სტატსკი სოკეტნიკი კობოტლო და დეკანოზი ოსტროუმოვი.

პ რ ო გ რ ა მ მ ა

სადმთო სჯულის სწავლებისა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში.

(გაგრძელება *).

15) სასწავლებრივი განძღობა 5,000 კაცისა ხუთი პურიით. მათ. 14, 14—23 მარკ. 6, 34—46; ლუკ. 9, 11—17; იოან. 6, 3—15.

1) ძანანელი ქალის ქალიშვილის განკურნება. მათ. 15, 21—28; მარკ. 7, 24—30.

17) ფერისცვალება უფლისა. მათ. 17, 1—13; ლუკ. 9, 28—36; მარკ. 9, 2—13.

18) იგავი მოწყალე სამართლებზე. ლუკ. 10, 25—37.

19) იგავი მდიდარზე და ლაზარზე ლ. 16, 19—31.

20) შრმების კურთხევა. მარკ. 10, 13—16; ლუკ. 18, 15—17; მათ. 19, 13—15.

21) ლაზარეს აღდგენა. იოან. 11, 17—57.

22) იერუსალიმში შესვლა უფლისა. მარკ. 11, 1—11; მათ. 21, 1—17; იოან. 12, 12—15, 17—19, ლუკ. 19, 29—46.

23) იუდასაგან გამცემლობა და საიდუმლო სერობა. მათ. 26, 1—5, 14—16, 20—35; მარკ. 14, 10—25; ლუკ. 22, 1—30; იოან. 13, 1—30.

24) წვალება, სიკვდილი და დაფლვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მათ. 26 და 27 თავ. მარკ. 14 და თავ. 15 ლუკ. 22 და 23 თავ.; იოან. 18 და 19 თავ.

25) აღდგომა ქრისტესი. მათ. 28, 1—15; მარკ. 16, 1—14; ლუკ. 24, 1—48; იოან. 20, 1—31.

26) ამაღლება ქრისტესი. მარკ. 16, 19—20; ლუკ. 24, 44—53; საქ. მოციქულთა. 1, 1—11.

ახალი აღთქმის სადმთო ისტორიას უნდა დაემატოს სამი კითხვა ეკლესიის ისტორიიდან, რომელიც განამარტებენ თორმეტ საუფლო დღესასწაულებს:

*) იხ. «მწეპსია», № 25.

სული წმიდის გადმოსვლა მოციქულებზე. საქმე მოცი. თავ. 2. ლეთის დედის მიძინება.

მოპოვება წმიდისა და ცხოველს მყოფელის ჯვრისა უფლისა.

ლოცვების სწავლება.

ბავშვებმა უნდა შეისწავლონ შემდეგი ლოცვები: „სახელითა მამისათა და ძისათა დასულისა წმიდისათა,“ „უფალო იესო ძრისტე, ძეო ლეთისაო, დიდება შენდა, ლმერთო ჩვენო, დიდება შენდა,“ უფალო ზემიწყალე,“ უფალო აკურთხე,“ «ლმერთო, შემწე მეყავ მე ცოდვილსა,“ „წმიდა არს, წმიდა არს,“ და სხვანი, იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერიდგან და უკუნისამდე,“ მომხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდო სუფევეითა შენითა,“ მეუფეო ზეცათაო,“ „წმიდაო ლმერთო, ყოველად წმიდა სამებაო,“ მამაო ჩვენო“ ლეთის-მ მობელო ქალწულო, გიხაროდენ,» „ღირსა არს“; ლოცვები: «წმიდაო ანგელოზო»; მეფეხე: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი“. დილის და საღამოს ლოცვები იკითხებიან ყოველ დღე. ლოცვების სწავლების დროს ბავშვებს უნდა აუხსნან ლოცვის ნიშნები: პირჯვრის წერა, თავის მოხრა და მუხლის მოდრეკა; აგრეთვე უნდა აუხსნან მათ, თუ როდის უნდა თავის მოხრა, როგორ უნდა მიიღონ მღვდლისაგან ლოცვა კურთხევა და სხვ. გარდა ნაჩვენებ ლოცვათა და საგალობელთა ბავშვებმა უნდა იცოდნენ სიმელო სარწმუნოებისა და ათი მცნება.

მეორე წელიწადი.

II. მოკლე კატეხიზმის და ღვთის მსახურების სწავლება (კვირასი შვიდი გაკვეთილი).

სიერცე და ნიმუშები მოკლე კატეხიზმისი ნაჩვენებია ამ საგნისთვის გამოცემულ კატეხიზმისი, სახელდობ „დასაწყისი ქრისტიანობრივის სწავლისა.“ ამ სახელმძღვანელოთი უნდა იხელმძღვანელოს მასწავლებელმა და უნდა ასწავლოს კატეხიზმის თანახმად იმა ჩვენებათა, რომელნიც მოხსენებულნი არიან ამ წიგნის შესავალში.

III. ღვთის მსახურების სწავლება.

1) რას ჰქვია ეკლესიური ღვთის-მსახურება და რითი იანსხიადობა ის შინაური ლოცვისაგან?

2) ტაძარი. ბარეგანი მისი სახე და შინაგანი მოწყობილება, უსაქროესნი კუთვნილებანი წმ. ტრაპეზისა.

3) საღმრთო გამოხატულებანი. ძანკელი.

4) საღმრთო ჭურჭელნი და სხვა ნივთები, რომელნიც იხმარებიან ლეთის-მსახურების დროს.

5) პირნი რომელნიც ასრულებენ ლეთის-მსახურებას. სამღვდლო შესამოსელნი, რომელნიც შეეფერებიან მათ ხარისხს.

6) უმთავრესი დღესასწაულები.

7) მართლ-მადიდებელი ეკლესიის მარხვები.

8) მწუხრი (ჩვენება უმთავრეს მის მღვდელ-მოქმედებისა და საგალობელთა).

9) ლიტურგია. უმთავრესი მისი ნაწილები:

ა) კვეთა: რაში მდგომარეობს და რა ისტორიულ შემთხვევას მოგვაგონებს ეს ნაწილი?

ბ) ლიტურგია კათაკვევითა. დასაწყისი, მცირე შესვლა, სამოციქულოს და სახარების კითხვას მოგვაგონებს ლიტურგიის ეს ნაწილი.

გ) ლიტურგია მორწმუნეთა: დიდი შესვლა, მომზადება საიდუმლოს შესასრულებლად, მსხვერპლის კურთხევა, საზარებლად მომზადება და ზიარება. მოგონებანი, რომელნიც შეერთებულ არიან მორწმუნეთა ლიტურგიასთან.

10) შურო შესანიშნავნი მოქმედებანი სხვათა საიდუმლოთა შესრულების დროს.

ბ. პროგრამა ორ კლასიანი სკოლისა.

პირველ ორ წელიწადს ორ კლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლაში სამღვთო სჯულიადამ უნდა გავლილ იქნეს ის, რაც ზემოდ ერთ კლასიან სკოლისათვის არის ნაჩვენები. შემდეგ, მესამე წელში ორ-კლასიან სკოლაში საჭიროა: ა) განმეორება საღმრთო სჯულისა დამატებით იმა სტატიებისა, რომელნიც ქვემოთ არიან ნაჩვენები; ბ) პირველ დაწყებითი ცნობების გარდაცემა ეკლესიის ისტორიადამ (კვირასი 7 გაკვეთილი).

მეცემსი

1885-1886

მწეემსი დამატებით გამოდეს თვეში ხუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ წიფხვებში.

გ ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი :

ერთი წლისა გაგზავნიო დაგუგზავნელოდ	5 მან.
ნახევარი წლის — — — — —	3 —
მწეემსი რუსული დამატებით — — — — —	6 —
ნახევარი წლით — — — — —	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით — — — — —	3 —
ნახევარი წლით — — — — —	2 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ აღრესით: *Въ кассу-прилу, Въ редакцію „Миремსи“ (Пастыр).*

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავით, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყენენ ავტორთაგან წელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატიია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკან-ვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

რედაქციისაგან.

ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი გამოცემის საქმის წაყენისათვის არაფერი არ დაგვიზოგავს. ჩვენი მოვალეობის ასასრულებლად მზად ვიყავით მოგვეთმინა ყოველ ნაირი უსიამოვნება, გულის ღელვა და მწუხარება, რომელნიც არც ერთ ასპარეზზე გამოსულ პირს არსად არ აკლია საზოგადოდ და ჩვენში ვანსაკუთრებით. წასრულ წელში მოვანსენეთ ჩვენს მკითხველებს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენი რედაქცია სხვა რედაქციებთან შედარებით განსაკუთრებულ მღგომარეობაშია და იმ დაბრკოლებათა, რომელნიც ჩვენ წინ გვიხედებიან, სხვა რედაქციები ვერც კი წარმოიდგენენ. მაგრამ ღვთის შეწყვენით ვზიდავთ იმ ტვირთს, რომელიც ერთხელვე ავიღეთ საზიდავად.

მუ როგორ ვასრულებთ ჩვენ ჩვენს მოვალეობას და რამდენად ვაკმაყოფილებთ საზოგადოების მოთხოვნილებას, ამისი გარდაწყვეტა საზოგადოების და მკითხველების საქმეა და არა ჩვენი. მაგრამ ყოველ წლობით თან-და-თან მომატება ხელის-მომწერლების რიცხვისა «მწეემსი»-ზედ აშკარად გვიმტკიცებს

ჩვენ, რომ ჩვენი საზოგადოება და სამღვდლოება ალბათ მიეჩნია ჩვენი გამოცემის კითხვას და სულიერ საზრდოსაც ჰპოებს მასში. ეს მოვლენა ნამეტნავად გვაძნეებს ჩვენ, ძალას გვაძლევს და გვიადვილებს სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა დაძლევისა.

პროგრამმა ჩვენი გამოცემისა საკმაოდ ვრცელია. სულ სხვა საქმე არის სპეციალური გამოცემა. აქ მიმართულება, მიზანიც, გზაც და კვალიც ფიცხლად არის შემოფარგლული თავის-და-გვარად და მკითხველებიც მზათა ჰყავსთ. ამისთანა შემთხვევაში, რასაკვირველია, რედაქციას უფრო გაადვილებული აქვს საქმე. ჩვენი საქმე კი სულ სხვა არის.

ჩვენ გვაქვს საქმე ყოველ გვარ მკითხველებთან: როგორც ღიდ ნასწავლთან, აგრეთვე მცირე ნასწავლთან. სახეში გვაქვს პირველად, რასაკვირველია, წნეობრივი და სარწმუნოებრივი კითხვები, მაგრამ არ ვაკლებთ მკითხველებს სტატიებს, შენიშვნებს, მოთხრობებს და მსჯელობას საზოგადო ცხოვრების კიოხვებზედაც. ამას გარდა ჩვენს პროგრამაში არის ერთი განყოფილება, რომელშიაცა ჩვენ ყოველთვის ვებეჭდვით მღვდლოთათვის საეკვო კითხვების განმარტებას. ამისთანა საეკვო კითხვების ახსნა ჩვენი სოფლის მღვდლების უმეტესი ნაწილისათვის, განსაკუთრებით,

რომელთაც არც ერთ სასწავლებელში სწავლა არ მიუღიათ, ნამეტნავად საინტერესო და სასარგებლოა. ჩვენი გამოცემის დასაწყისიდანვე ჩვენ ნიადაგ მოგვდის წერილები, რომლებშიაც გვთხროვენ სხვა-და-სხვა კითხვების განმარტებას და უნდა ვსთქვათ გამოტყეხილად, რომ ხან-დის-ხან იმისთანა კითხვების განმარტებას ითხოვენ, რომ ჩვენ ვერც კი ვიფიქრებდით, თუ ეს კითხვები ვისმეს არ ესმოდა. ხშირად ზოგიერთი ამისთანა კითხვების განმარტების დაბეჭდვა გვეჩოთირება და წერილობით ვაძლევთ პასუხს კითხვებზე მათ ავტორებს. ამისთანა კითხვების განმარტებას არა თუ უსწავლელნი პირნი საჭიროებენ, არამედ ზოგიერთი ნასწავლნი მღვდელნიცა, რომელთაც არ ეხალისებათ დაწერილობით გამოკვლევა თავის მოვალეობის ცოდნისა, რომ მტკიცედ აასრულონ იგი.

ზოგიერთები, ესრეთ წოდებულნი ნასწავლნი პირნი, გვიჩვენებენ ჩვენ, რომ ჩვენის გამოცემის პროგრამიდან სულ გამოვირცხოთ მეოთხე განყოფილება, როგორც არა საჭიროა, მაგრამ ამ ბატონებმა ის არ იციან, რომ ჩვენ გვყავს მრავალი მკითხველები, რომელთაც ეს უკანასკნელი განყოფილება უფრო მოსწონთ!..

ეს კი ყველა რედაქციები, გარდა იმათებისა, რომელთაც ეძლევათ შემწეობა მთავრობისაგან, მუდამ სილარიბეს უჩივიან, — მით უმეტეს ჩვენ ვითმენთ ამ სილარიბეს. მაგრამ როგორც ღღემდის, ისე ამის შემდეგ ჩვენ არ დავზოგავთ ჩვენს შეძლებას და ძალას ჩვენის გამოცემის გასაუმჯობესებლად და ჩვენი მკითხველების დასაკმაყოფილებლად.

ღიღი ხანია, რაც შენიშნული გვაქვს ერთი ნაკლი ჩვენი ჟურნალ-გაზეთებისა. ეს ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთი ჟურნალი და გაზეთი არ გამოდის ჩვენში სურათებით. ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ, რომ მომავალი წლიდან ჩვენ გამოცემაში ჩაურთოთ სურათები.

მაგრამ ჩვენს საქართველოზე რა ითქმის, როდესაც მთელს რუსეთის იმპერიაში მხოლოდ წასრული წლიდან იწყებს სურათებიანი სასულიერო ჟურნალის გამოცემა. მართალია, აქა-იქ საერო წოდების სურათებიან ჟურნალში შეხვდებოდით ჩვენი შესანიშნავი მონასტრების, ეკლესიების და ზოგიერთი ადგილების სურათებს, მაგრამ ამას სულ სხვა მიზანით და აზრით და არა საზოგადოების ზნეობის ასამაღლებლად. რუსეთში წასრული წლიდან სცემა ამისთანა სურათებიან კვირეულ სასულიერო გაზეთს, სახელად „Русский Паломник“-ს შესანიშნავი მოლოფი პ. ი. პოპოვიცი.

უ. პოპოვიციის ამ შენიღრ მაგალითს, როგორც ზემოთ ვსთქვით, გვინდა მივბაძოთ ჩვენც მომავლის წლიდან, ე. ი., ჩვენს გამოცემაში როგორც შართულში ისე რუსულში ჩაურთოთ სურათები ჩვენი საქართველოს, რუსეთისა და პალესტინის შესანიშნავი მონასტრების, ეკლესიების, ადგილების, ხატების და სხვა შესანიშნავ ძველ ნაშთთა მათი ზედ წარწერალობებით.


ჩვენი მხარე, რომელიც ქვეყნიურ სამოთხეს არის მიმსგავსებული ზოგიერთთაგან, ამ ხრით ბევრს მასალას გვიქადის.

ჩვენი მხარის ყველა იმ შესანიშნავ ნაშთთა და ღირს შესანიშნავ სახსოვართა, რომელნიც მოწმები არიან ჩვენი წინაპრების სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ღვაწლისა, — არამც თუ უცხოელს, არამედ მკვიდრთა უმეტეს ნაწილსაც არ შეუძლია ადგილობრივ ნახვა თავის თვალით; და ვინმემ კიდევ რომ შეიძლოს ამ ნაშთების ნახვა, ვერასფერს ვერ გაიგებს და ვერ შეიტყობს, თუ წინ-და-წინ არ წაუკითხავს მათზე ის, რაც ოდესმე ამ ნაშთებზე დაწერილა.

ამისათვის მომავალი წლიდან ჩვენ განვიზრახეთ „მწყემს“-ში და რუსულ დამატებაში ჩაურთოთ სურათები ზემოდ ნათქვამი ძველი ნაშთებისა და სახსოვრებისა და მასთან თვითოვეულის შესახებ მოიყვანოთ ვრცელი ისტორიული ცნობები. ამას გარდა ჩვენს გამოცემაში ჩაურთავთ სურათებს შესანიშნავ სასულიერო მოღვაწე პირებისას, რომელთაც დაგვიტოვეს ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობის მაგალითი და აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც ღღეს იღვწიან ქრისტეს ყანასა შინა.

ამ შრომას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, როგორც ისტორიულის, აგრეთვე არხეოლოგიურის მხრით, ამისათვის ჩვენ დაიმედებული ვართ, რომ საქართველოს მქსარხოსი, არქივებისკოპოსი პავლე, რომელიც უფრო მონდობილია გაიცნოს საქართველოს ეკლესიის ძველი ნაშთები, ამ საქმეში ჩვეულებრივ შემწეობას აღმოგვიჩენს თავის კეთილი რჩევით და სიტყვით. ღიღი იმედი გვაქვს აგრეთვე საქართველოს საქსარხოსოსი სხვა მღვდელ-მთავრებისაც, რომელნიც, იმედი, დახმარებას აღმოგვიჩენენ ამ საქმეში.

ამასთან იმედი გვაქვს დაგვეხმარებიან ის საერო პირნიც, რომელთაც აქვსთ ზოგიერთი ფოტოგრაფიული სურათები ძაქასიის შესანიშნავი ძველი ნაშ-



თებისა და ღირს შესანიშნავ სახსოვარებისა. მომავალი წლიდან ჩვენი გამოცემა იმავე სივრცით და იმავე ღროს გამოვა, რა სივრცითაც და რა ღროსაც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოხსაწერი ფასი იგივე დარჩება, რაც ამ წელში იყო. თუმცა აღნიშნული დამატება ჩვენ გაზეთში, წინანდელთან შედარებით, უმეტეს ხარჯს მოითხოვს, მაგრამ ფასს არ უმატებთ, რადგან გინდა გაუადვილოთ გაზეთის გამოწერა ღარიბთაც, რომ ამით ყველას მივსცეთ საშუალება, ჩვენი გამოცემის ადვილად მოპოებისათვის.

ღარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოება თანუგრძნობს ამ ჩვენ საქმეს და ამით მოგვეცემს საშუალებას, რომ ჩვენი ეს კეთილი მაზანი სისრულეში მოვიყვანოთ.



ჟმრილი სოფლის მღვდლისა თავისმოძმეთადმი. *)

ბანა ასე შეუძლებელია, რომ ჩვენ, მღვდლები, მტკიცე და ჭეშმარიტს გზას დავადგეთ ჩვენი მწყემსური მოვალეობის შესახებ? რით უნდა ავხსნათ ის მოვლენა, რომ ზოგი ჩვენგანი მტკიცედ და ნამდვილ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ზოგი კი არ ვადგვივართ ჭეშმარიტს გზას?

მართალია, იყო დრო, როცა მწყემსს არ შეეძლო დაეკავებია შესაფერი ადგილი საზოგადოებაში და ღირსეულად აღესრულებია თავის მოვალეობა, რადგან მას ამ საქმეში ზოგიერთი გარემოებანი წინ ეღობებოდნენ. ეს მღვდლებისათვის შემავიწროებელი და დამხაგრელი დრო, დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენმა სამღვდლოებამ თავიდან მოიშორა. ამ სამწუხარო დროს მოესწრენ ჩვენი წინაპარნი და ბევრნი იმ დროის მომსწრენი ჩვენ შორის დღესაც მსახურობენ. ეს დრო იყო, როცა ჩვენში სუფევდა ბატონყმობა, რომელიც მძიმე უღელი იყო არამც თუ მართო გლეხებისათვის, არამედ ბევრი ჩვენი თანამოძმეთათვის—სოფლის მღვდლებისათვის. ბევრს ჩვენგანს

*) იხილეთ «მწყემსი», № 16.

კდევ კარგად ახსოვს თავის მშობლებისაგან ნაამბობი, თუ მღვდლის ბედი და უბედურება როგორ იყო დამოკიდებული მკბატონებზე, მათ მოუჩვენებზე სხვათა პირთათვის მნებელობაზე. როგორც მებატონეს ან მის მოუჩვენებზე, მღვდელიც ისე უნდა მოქცეულიყო და თუ მათ უკანონო სურვილს არ შეასრულებდა მღვდელი, ის ან შიმშილით უნდა მომკვდარიყო და ან სხვა ღარიბ სამრევლოში უნდა გადასულიყო. ამასაც ხომ არ აყოფინებდნენ საწყალს მღვდელს; მღვდელი მასთან ფიცხელ შენიშვნას იღებდა თავის მთავრობისგან ვითომ თავის ცუდი და შეუთვისებელი ხასიათისათვის. ამ სამწუხარო გარემოებათა გამო, ერთის მხრით და მეორეს მხრით, რომ მღვდელს არ მოკვდებოდა ლუკმა პური და ან მთლად არ დაეკარგა სამრევლო, მას უნდა მოეთმინა ყოველივე დამცირება. ამ დროს რომელიმე სამრევლოში მღვდლად კურთხევა უფრო დამოკიდებული იყო იმ სამრევლოში მკბოვრებ ძლიერ აზნაურებზე და თავადებზე, ვინც მაშინდელი დროის მღვდელ-მთავრებზე. ამისთანა დროს მღვდლებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ ღირსეულად შეესრულებიათ თავიანთი წმიდა მოვალეობა, და იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ დროს სამღვდლოებაში განათლებულ პირთა რიცხვი ძალიან მცირე იყო, მაშინ ცხადად წარმოვიდგენთ, რომ მაშინდელ მღვდლებს, გარდა ზოგიერთი საჭირო მღვდელ-მოქმედებათა შესრულებისა, რომელიც ითხოვებოდა მხოლოდ მათგან, არაფერი შეეძლოთ. ღანაჩენი დრო უნდა ეხმარათ, რომ ესამოვნებიათ რამე თავის სამრევლოში მკბოვრებ მებატონეთა და ადგილობრივი სასულიერო კანცელარიის მოხელეთათვის. იმ დროში მღვდლებისაგან ყველა მოჩილებას და პატივისცემას ითხოვდა და ისინიც, მეტი გზა არ იყო, ყველას უნდა დამორჩილებოდნენ და ყველას უკანონო სურვილი უნდა შეესრულებიათ, თუ არ სურდათ, რომ შიმშილით ამოხდნოდნათ სული. ამ საზარელმა დრომ ისეთი გავლენა იქონია სამღვდლოებაზე, რომ ჩვენი წინაპარებიდგან მათი ზნე-ხასიათი ჩვენზედაც გადმოვიდა. ეს ცხადათ იხედება ზოგიერთი ჩვენი თანამოძმეთა ცხოვრებაში. მაშ რითი აიხსნება ჩვენი გაუბედავობა და ყოყმანება, რომ წესიერად და კანონიერად შევასრულოთ ჩვენი წმიდა მოვალეობა? მაგრამ აქ უნდა ვსთქვათ, რომ ბატონ-ყმობის მოსპობასთან არ მოსპობილა ის სამძიმო და საზარელი მიმართულება, რომელიც შედეგი იყო ბატონ-ყმობისა. ზოგან მღვდლები დღესაც ამავე ზედ-მოქმედების ქვეშ



საქართველოს მწერთა კავშირი

იმყოფებიან. მაშინდელი ღრობის სამღვდლოებას გარდა ზოგიერთი საჭირო მღვდელ-მოქმედებათა არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ შრისტეს ყანაში და მეტი მათგან არც კი არასფერი ითხოვებოდა. მაგრამ დღეს ჩვენ, რომელნიც სულ სხვა ღრობში ვცხოვრობთ და რომელთაც სხვა სწავლა-განათლება მიგვიღია, თავის გამართლება არ შეგვიძლია. მხლა სულ სხვა ღრობა დღეს. დღეს ჩვენ დიდი თავისუფლება გვაქვს მონიჭებული და ამიტომ რის გაკეთებაც უწინდელი სამღვდლოებისათვის იყო შეუძლებელი, ის ჩვენთვის ადვილად შესასრულებელია, მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენ უფრო მეტი ძალა და განათლება გვაქვს და მასთან ეხლანდელი ღრობის მოთხოვნილებაც ზოგიერთი საჭირო მღვდელ-მოქმედებათა გარდა ითხოვს ჩვენგან ბევრს სხვას. ამიტომ, თუ არ გვინდა რომ დავემზავსოთ მარილს, რომელმაც, სიტყვისა მებრ მაცხოვრისა, დაჰკარგა ძალა, ღრობით უნდა მოვიკიდოთ ჩვენს საქმეს ხელი.

მანსაკუთრებით ეხლა არის საჭირო, რომ ჩვენს მოვალეობას მტკიცედ მოვიკიდოთ ხელი. ჩვენს ხალხში თან-და თან ვრცელდება ურწმუნობა. ამ სენის წინააღმდეგ, მართალია, იღვწიან ბევრი ჩვენი მოძმეები, რომელნიც თავისი ქადაგებით, მღვდელ-მსახურების გარეშე საუბრებით და საეკლესიო სკოლების გახსნით მეცადინეობენ ხალხში აღადგინონ სარწმუნოება და ზნეობა, მაგრამ რადგან ჩვენში არ არსებობს ერთობა და თანახმობა, ვერას ვაკეთებთ და ვინც მოქმედებს, იმასაც ხელს უშლით. ბევრია ჩვენ შორის, რომელთაც გულით სურსთ გააკეთონ რამე, მაგრამ მართლობა უშლისთ ხელს.

ამიტომ ღრობა, რომ ჩვენ ერთ სულობით მოვიკიდოთ ხელი იმ წმიდა საქმეს, რომელიც გვიტვირთვია თავზე. ჩვენ უნდა ვეწვოდეთ ერთი ერთმანეთს ამ მოვალეობის შესრულებაში და არა ხელს უშლიდეთ. უნდა გვიხაროდეს, როდესაც რომელიმე ჩვენი თანამოძმე მუყაითად მოქმედებს შრისტეს ყანაში და არა გვეხარებოდეს. ჩემის ფიქრით, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა, საჭიროა, რომ ჩვენა გვექონდეს მტკიცე და ცხოველი სარწმუნოება, სიყვარული ჩვენი მოვალეობისა, თვის შორის ძმური სიყვარული, ერთობა, რწმუნება ერთმანეთისადმი. მსებები თუ გვექნება, მაშინ ამ იარაღით, რომელიც გარდმოგვცეს ჩვენ მოციქულებმა და მათმა ღირსეულმა მოადგილეებმა, ყოველივეს მოვახერხებთ. თუ ჩვენში იქნება საქმის სიყვარული, სიყვარული

რული თვის შორის და ერთობა, მაშინ ჩვენ ისეთ ძალას შევადგენთ, რომ ყოველივე დაბრკოლებას დაესძლებთ და ყოველთვის გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორი ათასი მანეთიც რომ დაგვენიშნოს წელიწადში ჯამაგირად, მაინც ვერას ვაკეთებთ შრისტეს ყანაში და შესაფერ ადგილს ვერ დავიჭერთ საზოგადოებაში. ცხად-ა ყველასთვის, რომ სამღვდლოებას თავის მოვალეობის მტკიცედ აღუსრულებლობაში ბევრს აბრკოლებს სიღალიბე და ამ მხრით ჩვენი სამღვდლოება მართლაც დიდს წვალეობას ითმენს, მაგრამ ამავე ღრობს არ შემოიძლია არა ვთქვა ისიც, რომ ჩვენი წმიდა მოვალეობის ღირსეულად აღსრულებისათვის ძალა უნდა ვეძიოთ თავდაპირველ თავის თავში და არა გარეშე თავისა, რადგან მხოლოდ ეს ძალა არის საიმედო და უცვალებელი და მაზედ არის დამოკიდებული ჩვენი გამარჯვება ყოველ საქმეში, მიუხედავად ყოველივე გარეგან დამოკიდებულებათა. რამ ეს ასეა, ამაში თვით მოციქულები გვარწმუნებენ ჩვენ.

უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი პ. პ. პობედონოსცევი და ამავე დაწესებულების კანცელარიის მმართველი ვ. პ. საბლერი გუბრია-სამეზგალოს მპარკიაში.

მ. რედაქტორო!

თქვენგან გამოცემული გაზეთის რუსულ დამატების № 15-ში წაეკითხე უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის პ. პ. პობედონოსცევის მობრძანება საქართველოში. ამ აღწერილობაში მოკლეთ იყო ნათქვამი მის მაღალ აღმატებულების მობრძანებაზე ქალაქ ბათუმში, და რადგან მე თვითონ დავესწარი ბათუმში მათ მობრძანებას, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, მამაო რედაქტორო, ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში შემდეგს შენიშვნას.

მისი მაღალ აღმატებულება უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი პ. პ. პობედონოსცევი და ამავე დაწესებულების კანცელარიის მმართველი ვ. პ. საბლერი მობრძანდნენ ქ. ბათუმში 2 სექტემბერს, საღამოს ცხრა საათზე. მისი მაღალ აღმატებულების



შესახვედრად ბათუმის რკინის გზის სადგურზე შეიკრიბნენ როგორც ადგილობრივი მართებლობის წარმომადგენელი, ისე ყოველად სამღვდლო ბრიგადი, ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ბათუმის ეკლესიების სამღვდლოების და ეპარქიალური კანცელარიის მდივანთაგან. როცა მატარებელი მოვიდა, მის მაღალ აღმატებულებას მიეგება ყოველად სამღვდლო ეპისკოპოსი ბრიგადი და შემდეგ მისი აღმატებულება მიუახლოვდა მათ შესაგებებლად მოსულ პირთა და თვითყულს მათგანს ჩამოართვა ხელი და წაბრძანდა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის სახლში. მეორე დღეს, დღის რვა საათზე, მიბრძანდა ყოველად სამღვდლო ეპისკოპოსს ბრიგადთან და შემდეგ წაბრძანდა ბათუმის ეკლესიაში, სადაც მის მაღალ აღმატებულებას მიეგება სამღვდლოება. შემდეგ დაათვალიერა ბერძენების და სომხების ეკლესიები და მეორე ყოველად სამღვდლოსთან ერთად წაბრძანდა ქალაქის დასათვარიელებლად. ორმოცე საათზე მეორედ მიბრძანდა ყოველად სამღვდლო ეპისკოპოსს ბრიგადთან, სადაც თან ახლდნენ მის მაღალ აღმატებულებას ვ. პ. საბლერი და მუთაისის ბუბერნიის სამხედრო გუბერნატორი სმეკალოვი. ნაშუადღევის ორს საათზე ყოველად სამღვდლო ბრიგადიმ თავის მხრითაც ინახულა მისი მაღალ აღმატებულება. ამავე დღეს ნაშუადღევს ექვს საათზე სამხედრო გუბერნატორისგან გამართული იყო სადილი, რომელზედაც მიპატრონებული იყო აგრეთვე ყოველად სამღვდლო ეპისკოპოსი ბრიგადი. 4 სექტემბერს, ნაშუადღევს ხუთ საათზე მისი მაღალ აღმატებულება გაემგზავრა ზღვით ახალ ათონის მონასტრის დასახედავად. მისი მაღალ აღმატებულება ყველას თავ-მდაბლად და სიყვარულით ექცეოდა. ზანსაკუთრებით აკვირდებოდა და თვალ-ყურს აქცევდა ეკლესიების და სამღვდლოების მდგომარეობას. შინაც კი ნახა მისი მაღალ აღმატებულება, ყველას შეეძლო შეენიშნა მასში დაუღალავი ჯოჯუნვა ეკლესიების და მის მწყემსთა მდგომარეობაზე.

სოხუმრდამ დაბრუნების და მუთაისის დათვალიერების შემდეგ მისი მაღალ აღმატებულება წაბრძანდა ობილისში, ხოლო უწმიდესი სინოდის კანცელარიის მმართველი ვ. პ. საბლერი ჩამობრძანდა მინგრელიაში. 11 სექტემბერს, დღით მისი აღმატებულება და ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ბრიგადი მობრძანდნენ მარტილში. ხონში გზათ გამოვლის დროს

მისმა აღმატებულებამ ვ. პ. საბლერმა დაათვალიერა ხონის სამოსწავლებლო სემინარია, ვაჭების და ქალების პირველ დაწესებითი სკოლები და ყველგან კითხულობდა, თუ რა საშუალება აქვს სასწავლებელს და როგორ მიდის სწავლის საქმეა; ამავე დროს დიდის სიყვარულით ექცეოდა ბავშვებს, რითაც დიდი სიყვარული დაიმსახურა ყველასაგან. მარტილში მისმა აღმატებულებამ დაათვალიერა სობორო და გარეშემოადგილები და ძლიან მოეწონა მარტილი როგორც ადგილის მდებარეობით, ისე სიმდიდრით და ჰავით. 12 სექტემბერს მისი აღმატებულება ყოველად სამღვდლო ბრიგადისთან ერთად მარტილიდამ გაემგზავრა ახალ სენაკისკენ. მზაზედ ინახულა ნაქალაქევის ეკლესია და ძველ სენაკის სააზნაურო სკოლა. ამ სკოლს მოწადებენ შეენიშნა გალობამ რუსულს და მართლ ენებზე მშენიერი შთაბეჭდილება იქონია მის აღმატებულებაზე. მისმა აღმატებულებამ დიდი მადლობა უთხრა სასწავლებლის ინსპექტორს. ახალ სენაკში მისმა აღმატებულებამ ინახულა ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი და სენაკის მახლობლად მდებარე დედათ მონასტერი. როცა სენაკის სასულიერო სასწავლებელს ათვალიერებდა, მისი აღმატებულება გააკვირვა სასწავლო ოთახების სიეწორავმ. ამავე დღეს საღამოს მატარებელით მისი აღმატებულება წაბრძანდა შ. შოთში, სადაც მეორე დღეს დაათვარიელა ქალაქი, ინახულა ქალების ორკლასიანი სასწავლებელი და ამავე დღეს, 10 საათზე წაბრძანდა ოზურგეთში იქაური ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის სანახავად და შემდეგ 14 სექტემბერს გაემგზავრა ბათუმში.

შესანიშნავია მინგრელიისათვის ვ. პ. საბლერის მობრძანება, როგორც უმაღლესი სასულიერო მთავრობის ერთი წარმომადგენლისა, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ახლად დაარსებულ ბურია-სამეგრელოს ეპარქიას კიდევ ბევრი საჭიროება აქვს. შექველია, რომ ამისთანა მაღალ პირებისაგან ადგილობრით ამ ეპარქიის დათვალიერება შესამჩნევად გაუადვილებს შრომას მის საჭიროებაზე როგორც ყოველად სამღვდლოს ბრიგადის, ისე მის მაღალ ყოველად უსამღვდლოესობას, საქართველოს ექსარხოსს, რომელიც დაუღალავად იღვწის ბურია-სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიების, სამღვდლოების და სამწყსოს კეთილ-დღეობაზე.



შორაპნის მაზრიდან.

დღით ახალ კვირას მე მთხოვეს ნაცნობებმა, რომ მათ გავჰყოლოდი ტების სალოცავზედ, სადაც, მათის სიტყვით, ამ დღეს იქნებოდა დიდი ამბავი. მეც აღვასრულე ნაცნობების თხოვნა და გავჰყევი მათ.

ტების არის სახელი იმ გორაკისა, რომელზედაც ამ დღეს იკრიბებიან მრავალი მლოცველები. ეს გორაკი არის სოფელ პერევისაში. გორაკი შემოზღუდულია მშენიერი მუხებით. ამ გორაკის შუა ადგილს არის ერთი დიდი მუხა. ამ მუხის ძირში დევს ერთი ბრტყელი დიდი ქვა და შიგ ჩასმულია ქვის ჯვარი. როცა ამ ადგილს მივედით, მლოცველები ბლომით იყენენ ჯეკრებულნი. მლოცველების უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ გლეხები. მრავალი ქალი და კაცი უფლიდენ ვარშემო გორაკზე შემომჰკრივეი ბულ მუხებს. ამათში ზოგი ფართხვით უფლიდა, ზო-ზოგი ფეხ-შიშველნი იყენენ, ზოგს ყელზე შემოვლებული ჰქონდა რკინის რგოლი და ზოგს ქვები ჰქონდა ყელზე ჩამოკიდებული და ყველანი ერთად მოწიწებით ევედრებოდნენ ტებისს წმიდა ბიორგის. ამასთან სწირავდნენ იმ ქვას, რომელშიაც ჯვარი არი. ვაკეთებული, ნემსებს, რომლებშიაც გაყრილი იყო აბრეშუმის წმინდა ძაფი, ფულს, წმინდა სანთლებს, ბატკნებს, ქათმებს და სხვ. როცა რომელიმე მლოცველი სწირავდა რასმეს ამ ქვას, ამ სიტყვებს ამბობდა: „ტებისს წმიდა გიორგი, მომართმევი ალაქმული ანუ დაპირებული თქვენდამი ძღვენი და გვედრები ამაშორა ყოველივე საცდელს და გაჭირებას“. შემდეგ ლოცვისა ხალხი შეუდგება მხიარულებას. შეიქნება ცხენების ტენება და დაირაზე ცეკვა-თამაში. ჩემმა ნაცნობებმა მარწმუნეს რომ, აქ ღამით უფრო ბევრი მლოცველები იქნებოდნენ და შესაწირავიც ბლომად შემოვიდოდა.

როგორც შევითყე, ამ ადგილს ახალ კვირადამ დაწყებული ორ თვემდის მოდიან მლოცველები შორეული სოფლებიდან და სწირავენ ტებისს წმიდა ბიორგის შესაწირავს, მაგრამ კაცმა არ იცის, თუ სად, ან რა კეთილ საქმეზე იხმარება ეს ამოდენი შესაწირავი? არ ვტყობა, რომ ამ ადგილს ეკლესია ყოფილიყოს და რა მიზეზისა გამო მიდიან ამ ადგილს მლოცველები? აგრეთვე საჭიროა, რომ ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, ამ შესაწირავს. წელიწად-

ში სულ რომ ცოტა სამ ადგილს შეეწირება 10-30 მანეთამდე. ეს ფული ისე მცირე არ არის, რომ მასზე ყურადღების მიქცევა საჭირო არ იყოს. მასთან საჭიროა გამოიკვილოს და შეიტყოს კაცმა ამ ადგილზე ხალხის შეკრების მიზეზი და, თუ ეს მიზეზი პატივ სადები იქნება, მაშინ ამ ადგილს ზემოდ მოხსენებული შემოსავლისაგან აგონ საჯვარის ეკლესია, რომ ხალხს შეეძლოს ეკლესიაში ლოცვა. თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ ხალხს მაინც ალუკრადონ მუხების და ქვის თაყვანის ცემა.

პერევისის სოფლის მასწავლებელი ეგნატე ბერულავა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

როგორც ჩვენი გამოცემის წინა №-ში მოვიხსენიეთ, მისი მაღალ აღმატებულება ობერ პროკურორი უწმიდესი სინოდისა მ. პ. პობედნოსცევი მუთაისილამ დაბრუნების შემდეგ თფილისში დარჩა სულ სამი დღე. ამ სამ დღეში დათვალეფრა თფილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, ინსტიტუტი და თათხმეტ ამ თვეს დღით თფილისილამ ვაემგზავრა ბათუმისკენ და ბათუმილამ რუსეთში წაბრჩანდა.

* * *

ძველი სენაკილამ გვეწერენ: „12-ს სექტემბერს ბატონმა საბლერმა და ბურია სამეგრელოის ეპისკოპოსმა მარტილილამ დ. ძველ სენაკს გააჩრეს. აქ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელი ინახულაბ. საბლერმა; დაიარა ყველა კლასები, განსაკუთრებით ყური მიაპყრო რუსულის ვაკვეთილებს და მეტის მეტადაც მოიწონა მისი გონიერულად მორთვა სასწავლებელში. ძველა მასწავლებლებს გულისთადი მადლობა განუცხადა და სახსოვრად და მადლობის დასამტკიცებლად სკოლის მმართველს (სკოლის საჩუქრად) პეტერბურგილამ ხატის გამოგზავნას შეჰპირდა. დაწერილებით გამოიკითხა ყმაწვილთა ხალხოსნობა, მათი საშვალეება, ადგილობრივი ჰავის სიმრთელე და სხვანი. სწავლის ვათავების შემდეგ, საუზმეზე ბ. საბლერმა სადღეგრძელო მიირთვა სამეგრელოს თავადის ნიკოლოზ დავითის ძის დადიანისა, რომელიც შეძლებისა და ვა-



რად შემწეობას ჰპირდება სასწავლებელს და თვთ სა-
აზნაურო სასწავლებლის წარმატება ისურვა.

ღღეს მარტო იმერეთის ეპარქიაში არის გახსნი-
ლი სამოცზე მეტი საეკლესიო-სამრევლო სკოლა,
რომლებშიაც მოსწავლე ბავშვების რიცხვი ბლომად არის.
იმედია, რომ რიცხვი სამრევლო სკოლებისა თან-და-
თან აღიმატებს.

ამ თვეში გაიხსნა მუთარსში სამაგალითო სა-
ეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლის მასწავლე-
ბელს მისი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის
ეპისკოპოსის ბაბრცელისაგან აქვს დანიშნული ჯა-
მაგირად ოცი თუმანი.

სკოლა გაიხსნა წმიდის გიორგის ეკლესიის მან-
ლოზლად ბ. ლოლაძის სახელში. სკოლის გახსნისანათა-
ვე სკოლაში წემსკლდთა რიცხვი აღმოჩნდა ასამდე,
მაგრამ ამათში ჯერ-ჯერობრით სამოცი ყმაწვილი მი-
იღეს. ამ სკოლაშივე პრაქტიკულად უნდა შეისწავ-
ლონ სწავლების საქმე სხვა საეკლესიო-სამრევლო
სკოლის მასწავლებლებმაც.

„მარტველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებ-
ბელის საზოგადოების“ ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს
ამ დღეებში ბ-ნს მასილ ოქონელს ძველი ხელთ-ნა-
წერი წიგნი მახტანგ მეფის კანონებისა. სამწუხაროდ,
ამ ხელთ-ნაწერს ბოლო თურმე აკლია. საინტერესოა
ვიცოლოვთ, განიჩხევა რითიმე თუ არა ეს ხელთ-ნაწე-
რი სხვა ამ გვარ ხელთ-ნაწერთაგან, და თუ განიჩხე-
ვა, სახელდობრ, რითი განიჩხევა. შოველ შემთხვე-
ვაში, საჭიროა, რომ ეს წიგნი განიხილოს ბ-ნ დ.
ზ. ბაქრაძემ, რომელიც ამ ჟამად ამ კანონებს ჰბეჭ-
დავს რუსულად „Юрид. Основ.“-ში დამატებათა და
თან შენიშვნებსა უწერს ზოგიერთის ბნელის ადგი-
ლების განსამარტავად. („ივერია“)

აუხაზეთილამ გეწერენ: აქ ისმის, რომ აუხაზე-
თის კათედრის მღვდელ-მთავრად ამ მოკლე ხანში
მოსკოვიდამ მობრძანდება ეპისკოპოსი, რომელიც
ამას წინაღ დაუნიშნავს უწმიდეს სინოდსაო. (ივერია).

უკანასკნელი დღეების ზოგიერთი საინტერესო

ცელეგრაჟები.

16 სექტემბერს.

ლონდონი. „Times“-ი ამბობს: ანც ერთი დიდი სა-
ხელმწიფო ან დაუწყებს ქმაგობას ბოლგარისა იმ აზ-
რით, რომ ხელი შეუშალოს მის გარუსებასაო. ეს
ეს გარუსება ბოლგარისა ესლა სწრაფდა და მშვიდობიან-
ნათ სწარმოებსო. „თუ რუსეთმა მოახერხაო, ამბობს ეს
გაზეთი—და იქნა გაიმაგრა დუნაის სამხრეთად, ოსმა-
ლეთმა თავის თავს უნდა დააბრალოს და არა სხვა რა-
მელსამე დიდ სახელმწიფოსაო: ოსმალეთი მუდამ უარ-
ზე იდგა და არ უნდოდა თავად ეტვირთნა ბალკანის
სახელმწიფოთა მარწობის საქმეო; ეს ტვირთი ესლა
თავს იდგა რუსეთსაო, რასაკვირველია, იმიტომ-რომ აქე-
დამ თავის საკუთარს სატკებლობას მოკლისო; სხვა
ერთათვის ძალიან ძნელია ამსაქმეში გაკრიონ, თუნდაც
რომ უნდოდეთ ესაო; ევროპა სხვათრივ ვერ მოიჭტეკაო.
ამის მახეიზი ის არის, რომ ვერა ვინ ვერ უშეკლის
ოსმალეთს და მხარს ვერ მისცემს იმდენად, რამდენადც
ეს საჭიროა, რათა ოსმალეთი მკვიდრ ბურჯად გადაიჭ-
ტეს და წინ გადაედობოს რუსეთსაო.

სოფია. გაუღბარსმა აცნობა როდოსლავოვს
ყოგვილივ, რასაც რუსეთის მთავრობა ითხოვს ბოლ-
გარისაგანო და დაუმატა, რომ თუ რუსეთის სურ-
ვილს არ შეასრულებს ბოლგარის მთავრობა, ხელმწიფე
იმპერატორს ეწყინებაო. როდოსლავოვი დაჰპირდა, რომ
მინისტრებს შეეკრება მაც საქმის თაბაზედ მოსალა-
პარაკებლადო. გაუღბარსმა სთქვა, რომ ესლანდელს
ყოფაში მოწოდება დიდის საერო კრებისა უკანონო
საქმე იქმნება და მის გარდაწვევტილებათ რუსეთისთვის
მნიშვნელობა არ ექმნებაო. გაუღბარსმა უჩნია, რომ
შიშაინობის წესნი მოკსმითო. ბოლგარის მთავრობა
იმ აზრისაა, რომ გადადება და დაგვიანება დიდის საერო
კრების მოწოდებისა მთავრის ამოჩხევისათვის შეუძლებელი-
აო, ანკულობის მანაწილეთა განთავისუფლებაც მთავრო-
ბას როგორცდაც არ უნდაო.

17 სექტემბერს.

სოფია. ბარონ გაუღბარსმა ბოლგარის მთავრობას
გარდასცა ნოტა. ამ ნოტაში გაუღბარსმა ამბობს, რომ,
რუსეთის მთავრობის აზრით, მოწოდება დიდის საერო



გვერდითა

კრების უმისოდ, რომ დიდი ხანი არა ჰქონდეს საარ-
ჩევნო მასშინდებლად, უკანონო საქმე იქმნება და
ამას გამო უოკელი მისი გარდაწვევტილება შეუწყნარებუ-
ლი დაჩქება. ბარონი გაუღბარსი უჩჩევს ბოლგარის
მთავრობას, რომ არჩევანები რაც შეიძლება დადის ხნით
გადასდეთ, რათა მანამდე ქვეყნის ესტანდელის აშლილ-
ბისაგან დაღვდეს. ამისთან სასურველი იქმნებოდა, რ
უთქვამს ბარონ გაუღბარსი, რომ შამანოვის წესნი გა-
უქმდნენ და საარჩევნო მასშინდებამ დადხანს გასტანოს,
თორემ ქვეყნის თავის სურვილს თავისუფლად ვერ გამოხ-
სტყვამს.

ბარონმა გაუღბარსმა გადასტა დღეს ნოტა ბოლგა-
რის მთავრობას და პირადაც შემდეგი უთხრა მთავრობ.
ბის წევრთა და იმთაც, ვინც მასთან მივიდა სანახავად:
„უნიკველეს უოკელისა ხელმწიფე თხოულობს, რომ
ბოლგარის მთავრობას სრული ნდობით ეტყუოდეს რუ-
სეთისა; მაგრამ ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რას ნიშ-
ნავს ეს სიტყვა. აქამომდე იმპერატორს მხოლოდ სიტ-
ყვა და სიტყვაეტი აღთქმას ესმოდა ხოლმე, ესტა-გი მის
უდიდებულესობას ჰსურს, რომ თვით საქმე ისაღვას:
საჭირთა, რომ ბოლგარია სრულიად სხვა ნაირად იტყუ-
ვოდეს რუსეთის მიმართ; თუ ესურთ, რომ იმპერატორ-
მა ბრძანოს: ბოლგარია ესტა ვერკუანს გზას დაღვდა,
ისე აღარ უნდა მოიქცეთ, როგორც აქამდე იტყუოდ-
ით. რუსეთს ვერ გაუგია, როგორც მოხდა, რომ ბოლ-
გარებმა ერთსა და იმავე დროს ორი ისეთი ერთმანეთ-
ის წინააღმდეგი საქციელი ჩაიდინეს: დეპუტა გაუგზავნეს
იმპერატორს და დიდსა და უტყუალებელ ერთგულებას
ჰპირდნებოდნენ და აღრესა გი ისეთი შეიწყნარეს, რ-
მელთაგან მხოლოდ წუხილი და სინანული იყო წარსუ-
ლის გამოვო. მანც საჭირთა ის თქიჩი შეითვასოთ,
რომ აღექსანდრე მთავარი ვერას დროს ვეღარ დაბრუნ-
დება სოფიაშიო. უველა პირთა, რაც გი მე მაქვს მონ-
დობილი, რომ ბოლგარებს გამოვუტყვადო, უკვე გადაწვე-
ტალია და გათავებულიო. არჩევანები დადის საერო
არჩევანებისათვის რომ ისე სწრაფად მოხდეს, როგორც
მთავრობას დაუნიშნავს, ეტი ვერ გაიგებს, რა საგანი
აქვს გადასაწვევტი ვრებასო. ამ საგანს როგორც მისჯე-
ბა ეტი რამდენისამე დღის განმამავლობაშიო? რუსეთი
საჭირად ჰსურავს, რომ ორის თთვის ვადა დაინიშნოს
შეიძინობის წესთა მოსზობილად არჩევანების დაწუბამ-
დო; თუმცა ასეთი ვადა ეწინააღმდეგება გონსტიტუცი-
ასაო, მაგრამ საჭირთაო, უველა დასს უნდა მიეცეს ნე-
ბა, რომ თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა არჩევანებშიო.
ეს არ მოხდება, რასაკვირველია, თუ გი მთავრობა არ

გაუქმებს იმ ბრძანებათა, რომელნიც გამოცხადებულ-
იყო უოკელისთვის წინააღმდეგაო. ბარონმა გაუღბარსმა
შემდეგ სთქვა: მიკვირს, რომ მთავრობას ისეთი ზომა-
ნი მაუღია, თითქო ბოლიცია იულისო. სოფიაში, ვინც
თუქმე შედიოდა რუსეთის საელჩოში, ან ვინც ჩემს
მოსტებებლად გამოვიდა, უველა საეჭვო ვარებად მიუჩ-
ნევიანო.

ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ ბოლგარია-
ის მთავრობას მოკიება უნდა რუსეთთან, მაგრამ გულ-
ში ვიდევ სხვა განმჩახვა აქვსო. ეს სასაფათო საქციე-
ლია და თუ ბოლგარები სხვა დიდთ სახელმწიფოთ
დაკეითსებთან, როგორც მოკიქვით და როგორც ეიმოქმე-
დოთო, ისინიც ამას უჩჩევენ, რასაც რუსეთი უჩჩევსო.
ბარონ გაუღბარსი დადადა ჰქიცხავდა ბოლგარებს; რათ
დასწვით დროები იმ რაზმებთან, რომელთაც მთავარ
აღექსანდრეს ტანტიდგან გადაყენებაში მონაწილეობა
მიიღესო; დროშა ისეთი სიმბოლოა, რომელიც უფრო
ძალა უნდა იდგას, ვიდრე საქმენა ვარდასაო. ესთქვათ
მომდვარი რაიმე დანაშაულისთვის დასაჯოთო—სთქვა
ბარონ გაუღბარსმა,—განს ამიტომ ცეტხლში უნდა დავ-
წვათ ის ჯვარიც, რომელიც მომდვარს ხელში ეჭიან
ხოლმეო? რუსეთის დაღვამატურმა აგენტმა მოახსე-
ნია ატრევე დაწვა წმ. გიორგის ნიშნებისა, რომელიც
იმ დროებზე იყო გამოხატულიო.

23 სექტემბერს.

სოფია. პერიას დილით დიდი კრება იყო და
4000 კაცი დაესწრო. სოფიის დეპუტატმა ეულჩემა
წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა: „არავის არა აქვს ნება
ჩვენს საქმეებში ჩაერიოს, ჩვენ გესურს ჩვენი თავი
ჩვენვე განვაგოთ სხვის ჩამოურეველად, ერთის კვირის
შემდეგ არჩევნები დაიწყება; იმედია, ბოლგარელნი
დაანახებენ ყველას, რომ იმათ შეუძლიანთ დაიცვან
თავის სუფლება და იმოქმედონ კანონის თანხმად“.
ვინმე ივანოვი, რუსეთის ქვეშევრდომმა დაიყვირა:
„არ გვინდა ბოლგარიაო!“ და ამის გულისთვის
ხალხმა სცემა და მიიმედ დაჩჩქვა. შემდეგ ამაღლე-
ბულ ადგილზედ ავიდა მეორე ორატორი დმიტრიევი
და ისევე ლაპარაკობდა, როგორც მულჩევი. ამ
დროს მიედანზე გამოჩნდა ეტლით გენერალი ძაულ-
ბარსი. დმიტრიევი შესწვიტა თავისი სიტყვა და დაი-
ძახა: „გაუმარჯოს რუსეთსაო!“ გენერალ ძაულბარსი
გაღმოვიდა ეტლიდამ გაერია ხალხში და ყოველ მხრივ
დაიწყო სიარული. ყველამ ქედები მოიხადეს და „ურა-
სა“ ჰყვიროდნენ. ძაულბარსი ავიდა ამაღლებულს